# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



კვირას 17 მაისს

მუშტაიდის ბაღში

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გამართული იქმნება.

სახალხო სეირნობა

ლატარია-ალეგრითა

დაწვრილებით გამოცხადებულია აფიშებში.

---

იძლევა ქირით

სარდაფი

ავჭალის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---

18 მაისს, ორშაბათს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზედ).

იქნება

ქართულის დრამატიულის საზოგადოების

საგანგებო კრება.

კრების საგნები:

1) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიშის განხილვა.

2) საზოგადოების ერთის წევრის საჩივრის გარჩევა წარსულ საზოგადო კრების შესახებ.

3) საზოგადოების წევრთა არჩევანი. (6—3)

---

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოებისა" და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში:

„ახალი ანბანი"

ვლ. აღნიაშვილისა.

1) „ან", წერა-კითხვა . . . . 10 კ.

2) „ბან", წვრილ-წვრილი ლექსები . . . . . . . . 10 კ.

3) „გან", პატარ-პატარა ამბები . . . . . . . . . 10 კ.

4) „დონ", პატარ-პატარა ამბებივე . . . . . . . . . 10 კ.

5) „ენ", გასართობი . . . . 10 კ.


## ახალი ამბავი

*** კ. მესხიშვილის ლითოგრაფიაში დაიბეჭდა შუათანა ტანის სურათი დიმიტრი ყიფიანისა. სურათი ჩინებულია, გარშემო ბორდიურებით არის მორთული და ქვეშ დახატული აქვს მამა-დავითის ტაძარი მიდამოიანად, სადაც განსვენებულია დასაფლავებული.

ფასი სურათისა ძლიერ ნაკლებია — თითო ცალი ჰღირს ხუთი შაური.

ბ-ნი მესხიშვილი აპირობს სხვა ქართველ მოღვაწეთა სურათებიც დაბეჭდოს ამ გვარადვე და იაფ ფასად ჰყიდოს ხალხში გასავრცელებლად.

*** ორშაბათს, 11 მაისს, დანიშნული კრება ტფილისის საქალაქო საბჭოსი არ შესდგა, რადგან კანონით დაწესებული რიცხვი ხმოსანთა არ გამოცხადდა.

*** ჩვენ მივიღეთ თ. იასონ დავითის ძის ციციშვილისაგან ერთი თუმანი. აქედამ 5 მან. დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ, ხოლო 5 მან. სასარგებლოდ ალ. ყაზბეგისა. პირველის ფონდისა დღემდე იყო 2222 მან. 92 კ. ამითი შესდგა 2227 მ. 92 კ., მეორე ფონდისა იყო 432 მან. 40 კაპ. ახლა შესდგა 438 მან. 40 კაპ.

*** მიხეილის ქუჩაზედ, ზვონარევის სასტუმროში შემდეგი გულსაკლავი ამბავი მოხდა. გუშინ-წინ, 11 ამ თთვისას, საღამოს ექვსს საათზე, მივიდა ერთი ახალგაზდა კაცი, ესე 25 წლისა, ახალგაზდა, 18 წლის ქალითურთ და ნომერი დაიქირავა. ნომერში შესვლისათანავე სტუმრებმა ორი სტაქანი ჩაი მოითხოვეს და კარები ჩაიკეტეს. ეს იყო და ეს, გათენდა მეორე დღე, გავიდა კარგა ხანი, მაგრამ არც კარები გაღებულა და არც ხმაურობა რამ გაუგონიათ იმათს ნომერში. ერთმა მოსამსახურეთაგანმა ოდნავ გადიხედა ფანჯრიდგან და მდივანზე მჯდომარე კისერ-გადაგდებულს კაცს მოჰკრა თვალი, ხოლო ქალი არა სჩანდა. შეფიქრიანებულმა პატრონმა სასტუმროსამ ეს ამბავი პოლიციის მოხელეს ი. ბაბალოვს აცნობა. ბაბალოვი მოვიდა სასტუმროში, შეიტყო გარემოება და შემდეგ შეატყობინა ბოქაულს მე-9-ე ნაწილისას: ან თქვენ მობრძანდით და ან მე მომეცით ნება, რომ კარები გავაღო და ოთახი შევამოწმოვო. მოვიდა ბოქაული და ერთად გააღეს ნომერი. მდივანზედ ჩამომჯდარი იყო ახალგაზდა კაცი, ხოლო ქალი ხელებით მუხლებზედ მოჰხვეოდა და თავი მკლავ ქვეშ კალთაში ჩაედო ვაჟისათვის. იქვე ეგდო რევოლვერი, რომელსაც სიცოცხლე მოესპო საბრალოებისათვის. ქალს მარჯვენა საფეთქელში ჰქონდა მოხვედრილი ტყვია და ვაჟს — მარცხენა საფეთქელში. სტოლზედ ბარათები ეწყო. ერთს ბარათში ეწერა, უკაცრავად თქვენთან, ბატონო სასტუმროს პატრონო, რომ უნებლიედ თქვენის უსიამოვნობის მიზეზი შევიქენითო. იქვე ეწყო 2 მ. 50 კ. და ბარათშიაც ეწერა, ეს ფული ნომრის ქირა არისო. მეორე ბარათში ძლიერი ხვეწნა-მუდარა ეწერა, აგვისრულეთ ეს ჩვენი უკანასკნელი ანდერძი და უთუოდ ერთად დაგვმარხეთო. საბრალო ვაჟი ერთს თავისს ამხანაგს სთხოვდა, ფოტოგრაფს ლუისთან არის ჩემი სურათები, გამოართვი და ჩემს მშობლებსა, ნათესავებსა და მეგობრებს დაურიგეო.

ჰნახეს რა ყოველივე ეს გარემოება პოლიციის მოხელეებმა დააპირეს მიცვალებულთა წასვენება საანატომიო თეატრში, მაგრამ ძლიერ გაუჭირდათ იმ უბედურთა გაზავება, ისე მაგრა იყვნენ ერთმანეთზე მოხვეულნი.

გამოიკითხეს მათი ვინაობა და შემდეგი აღმოჩნდა. ვაჟი ყოფილა გვარად ადოლფ ავგუსტის ძე გინტერი, ლოძელ მექარხნის შვილი; სამსახური ჰქონია ტფილისში, სტრატის საკომისიონერო კანტორაში. შეჰყვარებია ახალგაზდა, ლამაზი, ნამუსიანი, მკერვალი ქალი, 18 წლის ანნა ევდოკიმეს ასული კარობინა, მიუცია სიტყვა ცოლად შეგირთავო და ამას შემდეგ დაუწყიათ კიდეც ერთად ცხოვრება სასტუმრო „საფრანგეთში". ადოლფს პირობისამებრ მოუწადინებია ჯვარის დაწერა, მაგრამ ჩარეულან სხვანი ამ საქმეში და დაუშლიათ: თუ შეირთავ, ესა და ეს ამბავი დაგემართებაო, და აი სწორედ ამითი დაწყებულა ნასკვი იმ დრამისა, რომელიც ასე სამწუხაროდ დამთავრდა სასტუმროს ნომერში.

როგორც ეტყობოდა, ვაჟს რევოლვერი ჯერ ქალისთვის დაეცა, რომელსაც მღელვარებისა და შიშისა გამო თავი საყვარლის კალთაში დაემალა რევოლვერის სროლის წინად, და შემდეგ თავისი თავიც ზედ დაეკლა.

ამხანაგები საბრალო ადოლფისა აპირობენ შეასრულონ მისი უკანასკნელი ანდერძი

*** კვირას, 10 მაისს, „ტფილისის სობრანიაში" კრება მოხდა სომეხთა დრამატიულ საზოგადოებისა. კრებამ აირჩია მომავალ სეზონისთვის სათეატრო კომიტეტის 8 წევრი. ამათგან 3 წევრი სარედაქციო კომისიას შეადგენს და 5 წევრი-კი სომხურ თეატრის ადმინისტრაციას.

*** 10 მაისს, საღამოს ასე 7 საათზედ, ციციანოვის აღმართზედ კლდიდგან ქვა და მიწა ჩამოწვა თითქმის 200 ფუთამდე. ამ ჟამად ამ აღმართზედ გზა შეკრულია. უბედურება არა მომხდარა-რა.

*** ორშაბათს, 11 მაისს, ციხეში გაგზავნეს ტფილისის მიწის მზომელთა მოსამზადებელ სასწავლებელის მოწაფე ყ—ნი, რომელსაც რვა თთვით დაპატიმრება გადუწყვიტეს, მისთვის რომ შეურაცხყოფა მიაყენა იმავე სასწავლებლის მასწავლებელს ბ-ნს ხ—ნს.

*** პატიმართა გაგზავნ-გამოგზავნის ინსპექტორმა აუწყა მთავრობას, რომ რუსეთის რკინის გზით ბევრჯელ იგზავნებიან სახადიანი პატიმრებიო. ამის გამო რკინის გზათა დეპარტამენტმა მისწერა რკინის გზების უფროსებს, რომ თუ ვინიცობაა რკინის გზის ვაგონში სახადიანი ავადმყოფი აღმოჩნდეს, ამ ვაგონში მაშინვე დეზინფექცია უნდა მოახდინოთ რკინის გზის მკურნალთა დასწრებითაო.

*** ტფილისის სათავად აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის დირექტორის კანდიდატად თავ. დ. ი. ავალიშვილის გარდა კიდევ ასახელებენ იმავე ბანკის ბუღჰალტერს თავ. დ. ფავლენიშვილს.

*** ტფილისის მაზრის სოფელ კუმისისა და ახლო-მახლო სოფლების ვენახებში ვაზებს რაღაცა ავადმყოფობა გასჩენია. ამბობენ რომ ეს ავადმყოფობა ფიტოპტუსომიაო.

*** ბათუმი: ამ დღეებში აქ შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა: ერთმა მაჰმადიანმა მძიმედ დასჭრა დანით თავისი ღვიძლი შვილი, ორის თთვის ქვრივი, რომელსაც მამისთვის ეთქვა, რომ

---

# ფელეტონი

## მეფე სვიმონ I

1557—1600

(შემდეგი. იხ. „ივერია", № 98)

II

ლუარსაბის დასაფლავების შემდეგ სვიმონი მეფედ ეკურთხა მცხეთაში 20 წლისა. ახალგაზდა მეფე ხასიათით და თვისებით ძალიან ჰგავდა თავის მამას: მამასავით მხნე, გამბედავი მეომარი და დამოუკიდებლობის მოყვარული იყო. ამიტომაც ახალის მეფობით ქართლის პოლიტიკა სრულებითაც არ შეცვლილა. სპარსელების გაძევება და ქვეყნის განთავისუფლება იყო სვიმონის აზრიცა. სვიმონი შეუდგა სპარსთაგან დაჭერილის ციხე-სიმაგრეების დაბრუნებას და ცოტა ხანში დაიჭირა გორის ციხე და სხვა ადგილები. მხოლოდ ტფილისის აღება ვერ მოახერხა, რადგან სპარსებს ძალიანა ჰქონდათ გამაგრებული. როგორც ლუარსაბის დროს, ახლაც გორი იყო სამეფო ტახტის სამყოფად.

სპარსების ქართლითგან გაძევებაში სვიმონს თანაშემწედ ჰყავდა არჩილ მუხრან-ბატონიშვილი, რომელიც ხშირად ესხმოდა ტფილისს და არბევდა მის გარემო მყოფს სპარსების მორჩილს ადგილებს. საუბედუროდ ეს მხნე შემწე მალე მოაშორეს სვიმონს. ერთხელ ტფილისითგან გამოვიდენ სპარსები და დაეცენ არჩილს საფურცლეში. არჩილი ბრძოლაში იძლია, შეიპყრეს სპარსებმა და ტყვედ გაგზავნეს ყაენთან (1560 წ.).

ამისთანა შემწის დაკარგვამ სვიმონი არ გააჩერა და უფრო მხნედ შეუდგა სპარსების ქართლითგან გაძევებას. 1561 წ. სვიმონმა ტფილისის ასაღებად შემწეობა სთხოვა კახეთის მეფეს ლევანს, რომლის ასული ნესტან-დარეჯან მან შეირთო ცოლად 1559 წ. კახელების ცდაში სვიმონი თავის ჯარით დადგა ციხედიდში (ძეგვში). ეს ამბავი რომ შეიტყო განჯის ბეგლარ-ბეგმა შაჰ-ვერდი ზიად-ოღლიმ, იმანაც შეკრიბა არეზის წყლის გამოღმა ლაშქარი და წამოვიდა ქართლში. სვიმონთან მივიდა კახეთის ჯარით მისი ცოლის-ძმა, გიორგი ბატონიშვილი. შაჰ-ვერდი ზიად-ოღლიმ-კი სპარსეთის ჯარით განჯითგან გამოიარა ქართლის აოხრებული და უშენო ადგილები (ხუნანი, ლვინჭრობი და ვაშლოვანი) და ისე შევიდა ტფილისს, რომ სვიმონმა ვერ გაიგო. ქართველებმა ციხედიდში ხანდაგი გათხარეს და იქ დაბანაკდენ. დიდმარხვის მიწირული იყო და აღდგომაც დგებოდა. სვიმონს და ქართველებს უნდოდათ, ეს დღესასწაული მოსვენებით გადაეხადათ. დევის-ნამუხლარში ყალაულები დააყენეს, რომ სპარსელების მოძრაობისთვის ედევნებინათ თვალყური. აღდგომა ღამეს ყველა ყალაულები წირვის მოსასმენად ავიდნენ მუხათგვერდში და გზა უყურადღებოდ დასტოვეს. შაჰ-ვერდიმ ამით ისარგებლა და იმავე ღამეს ტფილისითგან ციხედიდს მიუძღვა სპარსებს, ხანდაგი მიწით ამოავსებინა და ზედ აღდგომა დილას დაეცა ქართველებს. სვიმონმა საჩქაროდ გააწყო ჯარი საომრად. სპარსების მოწინავესა და ქართველთ ლაშქარს შორის გაცხარებული ომი შეიქნა. ქართველები ომობდნენ საშინელის თავგამომეტებით და მრავალი სპარსი დახოცეს. განჯის ბეგლარ-ბეგმა რომ ასეთის თავგამომეტებით მებრძოლნი დაინახა ქართველები, მიუბრუნდა თავისს ჯარს და უთხრა: „გზა შორს გვაქვს, რომ გავიქცეთ: ვერსად გავატანთ, უკან დაგვეწევიან და დაგვხოცენ; მუხანათობით სიკვდილს ისევ ვამჯობინოთ, რომ ძალმიცემით ომში შევაკვდეთ". ესა სთქვა და შუაგულის ჯარით ჩაერია ომში თვით შაჰ-ვერდი. ორისავე მხრით ბრძოლა უფრო გაცხოველდა. სპარსები მეტნი იხოცებოდენ დ კინალამ უკან არ დაიწიეს. მაგრამ ამ დროს უცებ გაისმა ქართველებში: გიორგი ბატონიშვილი მოკვდაო! კახელებმა ტირილი იწყეს, ომს აღარ დასდიეს, გამოიტაცეს ბატონიშვილის გვამი საომრითგან და ბრძოლას თავი ანებეს. ამ ამბავზედ სპარსელები გამხნევდნენ, შეუტიეს ქართველებს და გააქციეს. ამ ომში ბევრი სპარსი გაწყდა, აგრეთვე ბევრი, თუმცა იმდენი-კი არა, ქართველები დაიხოცნენ (სხვათა შორის ცხრა ამილახვარი

გათხოვებას ვაპირებ, რადგან წვრილშვილობამ და ქვრივ-ოხრობამ მეტად გამიჭირვა საქმეო. ამ ამბავმა ისეთი თავ-ზარი დასცა თურმე მამას, რომ ასეთი ბოროტება ჩაიდინა. დამნაშავე გადაიკარგა და ჯერაც არ უპოვნიათ, ვგონებ დაჭრილის დედაკაცის მორჩენა საეჭვოა.

⁂ ბორჩალო: ამ ჟამად აქეთკენ დიდი წვიმები, წვრილი სეტყვა, ქარი და წყალ-დიდობაა. თებერვლის ნახევრიდგან მარტის დამლევამდე მზე არ დაგვინახავს. მერე გამოჩნდა, მოგვიახლოვდა კიდეც, მაგრამ ისევ გვეძალება. გვიხაროდა მაისის მოსვლა, იქნება მშრალზედ გავლა მაინც გვეღირსოსო, მაგრამ ჩვენმა იმედმა ტყუილად ჩაიარა და ნაცვლად სიამოვნებისა, ბევრს უბედურებას ვხედავთ. ცუდი ამინდების გამო პირველ მაისს საშინელი უბედურება დატრიალდა სოფელს ქვეშში. მწყემსებმა დილით ნახირი გარეკეს იქვე მახლობლად მდინარე მოშევნის პირზედ, ნახირი წყალ-გაღმა მიიწევდა, რადგან იქ დაჩვეულიყო. ადიდებულის მდინარის გამო მწყემსები არ უშვებდნენ. ერთი ძროხა გაექცათ ნახირიდგან და უნდოდა წყალში გასულიყო. ერთმა მწყემსთაგანმა იოსებ ვასილის ძემ ბესალაშვილმა მოურბინა და წყლის პირას გადადგა. თურმე ნაპირს ძირი წყლისაგან გამოჭმული ჰქონოდა. ერთბაშად მოიმზღვლა მიწა და საწყალი მწყემსი აღქაფებულს ზვირთებს მისცა. 13 წლის ყმაწვილმა თითონ თავს ველარ უშველა, სხვები კიდევ იმაზედ პატარები იყვნენ და მხოლოდ ტირილს მოუმატეს. მალე შეიტყეს ეს ამბავი ახლო მყოფმა მეწისქვილეებმა და მაშინვე ჩაცვინდნენ წყალში და კარგა ხნის ძებნის შემდეგ ძლივს იპოვნეს, მაგრამ გვიან-ღა იყო. ერთს ვერსამდე ეტარებინა საცოდავა წყალს. თავ-კისერი სულ ერთიანად მოეგლიჯა.

ამ ერთს უბედურებას არ დაგვაჯერა წყალ-დიდობამ. ამ მაისის დამდეგსვე ერთი საწყალი გლეხი დადებულის ურმით შევიდა ბოლნისის წყალში. ეს წყალიც ამ ჟამად ძლიერ გაგიჟებული მოდის. მკათათვესა და მარიამობისთვეში-კი ნამ წყალს ვერ იშოვის იმ ხეობაზე კაცი. ასლა-კი იმ ზემოხსენებულს გლეხს მოსტაცა ურემი, გადუბრუნა და ყევარი ხარ-კამეჩი დაურჩო.

⁂ განჯა: ამ ხუთი-ექვსის წლის წინად განჯაში გაჩნდა რამდენიმე ღვინის ვაჭრობის ჩარჩი და ღვინის სყიდვა-გასყიდვის საქმეში დალალობა დაიწყეს. მოკლე ხანში კარგა დაოსტადნენ ამ ხელობაში, დაუახლოვდნენ ყველა სირაჯებსა და სხვა ღვინის ვაჭრებს, რომლებიც-კი მოდიან განჯაში ტფილისიდგან და სხვა ადგილებიდგან ღვინის სასყიდლად. ისეთი ნდობა მოიპოვეს მათ შორის, რომ ეხლა, როგორც მოვლენ განჯაში ღვინის სასყიდლად, პირდაპირ იმათ მიჰმართავენ ხოლმე: გვიჩვენე, ღვინო ვისგან ვიყიდოთო. ისინიც ამ ღვინის ვაჭრებისგან ხომ იღებენ თავისს გასამჯელოს, თან იმასაც სცდილობენ, რომ ღვინის გამყიდავისგანაც, რაც შეიძლება, მეტი ირგუნონ. ამის გამო მუშტრები სულ იმისთანა შეძლებულ ვენახის პატრონებთან მიჰყავთ, ვისაც შეუძლიან შუამავლებსა და ჩარჩებს დიდი ჯილდო მისცეს თავის გასამრჯელოში. ამ გარემოებას ძალიან უჩივიან განჯელი ღარიბი ვენახის პატრონები: ღვინის მუშტარი სულ აღარა გვყავს და ამ მოულოდნელმა გარემოებამ ლამის ღვინის მოყვანაზედ—ამ ერთად ერთს ჩვენის ცხოვრების სალსარზე—ხელი აგვაღებინოსო. ღვინის ვაჭრებმა რომ პირდაპირ ჩვენთან დაიჭირონ საქმე, იქნება ჩვენ უფრო კარგის თვისების ღვინოც მივცეთ და უფრო პირიანადაცაო. ამას იმიტომ ვამბობთო—უმატებენ განჯელი ღარიბი ვენახის პატრონები—რომ ბევრჯელ მუშტრები ისეთის ღვინის პატრონებს უჩნდებიან, რომლებსაც, ისე რიგად, არც ღვინო უვარგათ და ძვირადათაც ჰყიდიან; მაშინ, როდესაც სხვა უფრო უკეთესის ღვინის პატრონები უფრო პირიანად გაჰყიდდნენ. ეს სულ იმის ბრალია, რომ დიდი მემამულენი დიდს ჯილდოს აძლევენ ჩარჩებს: მუშტარი ჩვენთან მოიყვანეთო. ეს ჩვენი ზარალი სხვებისთვის მაინც რომ სასურველი იყოს, მაშინ ხმა არ ამოგვეღებოდა, მაგრამ რად უნდა მოგვივიდეს ასეთი საქმე ჩარჩისა და დალალის ხეირისათვის.

⁂ საგარეჯო: დიდის ხნის ლოდინის შემდეგ, ძლივს ველირსენით გარეჯელები და ჩვენთან მთელი ივრის-ხეობა სამკურნალოს დაარსებას. 4 მაისს მობრძანდა საგარეჯოში ტფილისის საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე ბ-ნი რ. დ. მაჭავარიანი და ადგილობრივის მკურნალის სამღვდელოებისა, მასწავლებლებისა, და სოფლის საპატიო კაცთა თანდასწრებით—აკურთხებინა სემკურნალო.

ბ-ნმა მაჭავარიანმა სხვა სიკეთეც დაგვდო: დაიარა მთელი დუქნები და, რაც რაც წამხდარი სანოვაგე ჰქონდათ, მთლად გადააყრევინა, მასთან დარიგება მისცა სოფლის მოხელეებს, როგორ უნდა მოეპყრნენ სოფელს სანიტარულის მხრით, რომ საღიანობა იყოს სოფელში.

ბ-ნმა მაჭავარიანმავე გასინჯა სკოლის შეგირდები, ინახულა ადგილობრივი აფთიაქი და ადგილობრივ მკვიდრთ ესაუბრა მდაბიურის ენით ჰიგიენა-სისუფთავის შესახებ.

⁂ გაზეთს „Т. Л:-ს შაუტყვია, რომ იმპერატრიცა მარიამის უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილება რუსეთში ერთს მასწავლებელს ქალსა ჰგზავნის თურმე, გვარად ნ. ა. ბოგაევსკაიას, რომელმაც რუსულს გარდა კარგად იცის ქართული და სომხური ენებიც. ბოგაევსკაია ამ წელს პეტერბურგში შეისწავლის, როგორ უნდა ასწავლოს უსინათლოებს წერა-კითხვა. მომავალ წელს ტფილისში უსინათლოთათვის სკოლა გაიხსნება და ქ-ნი ბოგაევსკაია ამ სკოლის მასწავლებლად იქნება დანიშნული.

⁂ თელავი: თელავიდგან სწერენ გაზეთს „Нов. Обоз“-ს: შაბათს, 9 მაისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე თელავის ტყის უფროსად ნამყოფის ტიტულიარნი სოვეტნიკის პავლე იაკობის ძის სემენკოსა, რომელსაც ბრალდებოდა: ქრთამის აღება და სხვა და სხვა დანაშაული. ოლქის სასამართლომ სემენკო სრულიად გაამართლა.

⁂ 11 ამ თთვისას ტფილისის მცხოვრებელი სარქის ჩონეშვილი სიმთვრალის დროს შევიდა თავისს დუქანში ავჭალის ქუჩაზე და ორჯელ რევოლვერი გაისროლა. დამნაშავე პასუხის გებაში მისცეს.

⁂ ამავე დღეს ავჭალის ქუჩაზედ რასულ აზალი-ოღლის დუქნიდგან მოიპარა 25 მან. და 50 კ. ზუგდიდის მაზრის სოფ. ტაიას მცხოვრებელმა ნესტორ ჩარკვიანმა. დამნაშავე შეიპყრეს და თავის დანაშაულიც აღიარა.

⁂ 10 ამ თთვისას სუმბათოვის ვიწრო ქუჩაზედ ვიღაც კაცი გაეკიდა ცუდის ყოფაქცევის ქალს მაგდან ხეჩოევს და ორს ალაგას დანით დასჭრა. ქალი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

⁂ 11 მაისს პურის მოედანზე ახალ-ციხის მცხოვრებელის შვილი აბრამი, 5 წლისა, ისაკ გორიშვილის სადგურის მესამე სართულიდგან გადმოვარდა და თავი დაიშავა. ბავშს სასიკვდილო არა სჭირს-რა.

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

12 მაისი

კრება დაიწყო თითქმის ნაშუადღევს. კრებაზედ თავი მოიყარა სულ 110 წევრმა დამფუძნებელმა. თეატრის ლოჟეები ქალებით არის სავსე, სხვა მოსულს მაყურებლებს უფრო ქანდარაზედა აქვთ თავი მოყრილი. კრების დაწყებისათანავე ბ-ნმა თავსმჯდომარემ ზედამხედველ კომიტეტისამ ნიკ. ანდრონიკაშვილმა რამდენიმე გრძნობით სავსე სიტყვა სთქვა ახლად გარდაცვალებულ თავად იასე ადამის ძის ანდრონიკაშვილის შესახებ. შემდეგ კრებამ, თ. ანდრონიკაშვილის თხოვნით, ფეხზედ წამოდგომით პატივი სცა ხსენებას თ. ი. ა. ანდრონიკაშვილისას, რომელიც არა ერთს წელიწადს ყოფილა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კამიტეტის თავმჯდომარედ.

ამას შემდეგ კრებამ თავმჯდომარედ საზოგადო კრებისა ამოირჩია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი, თ. ლ. ა. მაღალაშვილი.

გ. გაბაშვილმა და სხვათაც განაცხადეს, რომ ბანკის მოხსენებანი გვიან იბეჭდება, ზოგიერთი გუშინ და დღეს მოგვცესო, თუმცა დადგენილება არსებობს კიდეც, რომ კრების წინა ორს კვირაზედ მოხსენებანი მზად უნდა იყოს და დაურიგდეს მსურველთაო. ამის პასუხად მმართველობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წრეულს მეტად ბევრი საქმე გვქონდა, ჯერ ის იქონიეთ მხედველობაში, რომ ბევრგანა გვაქვს ანგარიშები დაჭერილი და მინამ ყოველ მხრიდამ მივიღებთ ჯეროვანს ანგარიშებს, საქმე თავის-თავად ბრკოლდება. მერე გაიხსენეთ, რომ საქმეები ძალიან გაგვიმრავლდა: მარტო სესხი ორ მილიონზედ მეტია გაცემული ამ იანვრიდამ ამ მაისამდე. ამას გარდა, წრევანდელმა გაძლიერებულმა ტირაჟმა დიდი დრო მოინდომა. რამოდენა წინა სამზადისი უნდოდა ამ საქმეს, იქიდამ სჩანს, რომ უწინ თითონ ტირაჟი თავდებოდა ერთს დღეს და ეხლა-კი ამას მოანდომეს თითქმის ოთხი დღე და ღამე. ამ საქმეს ვერ შევაყენებდით მოხსენებისათვის. მოხსენებათა მოსწრება შეიძლება კიდევ, საზოგადო კრება რომ მკათათვეში იქმნას მოწვეული და ეს-კი არაფრად სასურველია, რადგან ბირჟაზედ ცუდად იმოქმედებს, მთელი ნახევარი წელიწადი წლიური ანგარიში ბანკისა რომ დაუმტკიცებელი იყოსო.

ამ საგნის გამო თავსმჯდომარემ კრებისამ გამოაცხადა, რომ სარჩიელი ბ-ნის გაბაშვილისა სახეში იქმნება მიღებული საკვლაოდ.

შემდეგ, შემოწმებულ იქმნა რა ზედამხედველ კომიტეტისაგან და შეწყნარებულ საზოგადო კრების მიერ ნუსხა კრებაზედ დამსწრე წევრთა, წევრმა ბანკის მმართველობისამ თ. დ. ი. ავალიშვილმა დაიწყო მმართველობის მოხსენების წაკითხვა. ამ მოხსენებიდგან ზოგიერთი ადგილი უკვე დაბეჭდილი იყო გუშინდელს ჩვენს გაზეთში და ამიტომ მისს შინაარსს აღარ მოვიყვანთ.

ხანგრძლივი ბაასი. გამოიწვია ბანკის წლიურ ანგარიშის დამტკიცების დროს იმ გარემოებამ, რომ 10,260 მან. 90 კაპ., რომელიც დახარჯულია დინამო-ელექტრონის მაშინასა და ამ მაშინის სადგომისათვის და რომელიც დაბრუნებულია, მოგებად ჩაირიცხოს, ვითარცა ბანკის ქონება,—თუ ეგ ჯამი დასაბრუნებელ ხარჯიდგან ამოწერილი და ბანკის მოწყობა-მომართვის ხარჯში აღნიშნული, გამოირიცხოს წრევანდელის წლის მოგებიდგანაო. ერთნი იმ აზრს ადგნენ, რომ ეგ მაშინა და მისი შენობა მოგებად არ ჩაითვლება, ან ეხლა, ან კულავ ერთ-ხანად უნდა იქმნას გარდახდილი მაგისი ფასი, როგორც ამ ხუთის წლის წინად იყო გადაწყვეტილი საზოგადო კრების მიერ: ყოველ წლივ 30,000 მან. გადახდილ იქმნას ხოლმე ქარვასლის შეკეთებაზედ დახარჯულ ფულის დასაბრუნებლადაო. ეგეც იმ ხარჯშია მოქცეული და ამიტომ მაგის განცალკევება შეუძლებელიაო.

მეორენი, და მათ შორის ბანკის მმართველობა და ზედამხედველი კომიტეტი, ერთს წევრს გარდა, იმას ამბობდნენ, რომ წრევანდელ წლის მოგებაში უნდა ჩაითვალოსო.

კრებამ, ხანგრძლივ ბაასს შემდეგ, წლიური ანგარიში ბანკის მმართველობისა ერთ-ხმად დაამტკიცა ისე, როგორც წარმოდგენილი იყო გამგეობისაგან, ხოლო დინამო-ელექტრონის მაშინისა და იმის მოწ-

---

იქმნა მოკლული). შაჰ-ვედი-სულთანი იმავე ღამეს ტფილისს დაბრუნდა. მოკლული ბატონიშვილი გიორგი კახეთს წაასვენეს, სვიმონ მეფე თავის ლაშქრით გორს დაბრუნდა.

სპარსების დრო-გამოშვებითმა შემოსევამ, მათთან უთანასწორო ბრძოლამ და ამ ბრძოლა-შემოსევის შედეგად მოყოლილმა ქვეყნის აოხრებამ ბევრს ქართველს გაუტეხა გული და სასოება წარუკვეთა. გულ-გატეხილი და სასოწარკვეთილი ქართველები მზად იყვნენ ქვეყნის დამოუკიდებლობა შეეწირათ მშვიდობიანობისთვის. ამიტომ არ მოსწონდათ სვიმონ მეფის პოლიტიკა, რომელიც თავის მამის მსგავსად სპარსების ხელმწიფების წინაამდეგი იყო. თავიანთ სურვილის შესასრულებლად იმათ ჩააგონეს სვიმონის ძმას დავითს, რომ სპარსეთისათვის მორჩილება გამოეცხადებინა, ამ ნაირად ქართლის ტახტი ეშოვა და ქართლში მშვიდობიანობა ჩამოეგდო სპარსებთან მორიგებით. დავითის ამ ნაირს მრჩეველთა შორის ერია უმეტესი ნაწილი ბარათაშვილთა და სხვა სომხეთის თავადთა რომელნიც, როგორც მოსაზღვრე მცხოვრებლები, ყველაზედ მეტად ზარალობდენ სპარსების შემოსევისგან და მაშასადამე ყველაზე მეტად უნდა ყოფილიყვნენ მოწადინებულნი მშვიდობიანობას, თუნდაც მორჩილებით ნაყიდსა. დავითი მოიხიბლა მომავალის მეფობის იმედით, მიიღო ამ ნაირი რჩევა და ციხედიდის ბრძოლის შემდეგ წავიდა თავის მომხრე თავად-აზნაურებით ყაენთან ყაზმინს ერთგულებისა და მორჩილების გამოსაცხადებლად.

ყაენს იამა სვიმონის ძმის მორჩილება და პატივსაცემლად ყველა მის კარზე მყოფი ბეგლარები წინ მიაგება. მეჯლისი გაუმართა და სიახლოვეს დაისვა. მასთან მისული თავადებიც მეჯლისში დასხეს. დავით მოეპყრენ როგორც ხელმწიფეს: ქვეშ საფენი გაუშალეს, დორი დაუგეს და ზედ დასვეს. ყაენის წინადადებით ცოტა ხანს უკან გამაჰმადიანდა დავითი, გამაჰმადიადენ აგრეთვე მისი მხლებელი თავად-აზნაურნი. ამისთანა ერთგულობისთვის ყაენმა იშვილა დავითი, მისცა ქართლის მეფობა და აჩუქა 2,000 თუმანი, კაბა, სარტყელი, სიასამურის ტყავი, თაჯი, ხმალი, ხანჯალი, მარგალიტის საბუხარი, ოქროთი დაკაზმული ცხენი, ოქროს სურა და თასი. ყაენმა აგრეთვე დაურიგა ქართველს თავადებს და აზნაურებს სახარჯო ფული, ხალათი, ცხენი და იარაღი. მატიანის თქმით, რაც დავითსა და მასთან მისულს თავად-აზნაურებს მიეცათ, სულ 9,000 თუმნისა იყო. ამის შემდეგ დავითი წამოვიდა სპარსების ჯარით, შემოვიდა ტფილისს და დაჯდა მეფედ (1566 წ. *) დავითს დაემორჩილა მარტო ტფილისი და სომხეთ-საბარათიანო. დანარჩენი ქართლი არ დაემორჩილა და სვიმონის მხარეზე იყო. მართალია, დავითი გაამეფეს სპარსელებმა, მაგრამ სახელის მეტი მეფისა მისთვის არა მიუციათ-რა. ყაენის ბრძანებით ყოველს წელიწადს თითო ნაპირის ხანი ინიშნებოდა ტფილისის ციხის მცველად თავის ჯარით და ეს მორიგი ხანი იყო ნამდვილი მმართველი: უიმისოდ დავითი ვერას იქმოდა.

ამ ნაირად ქართლი ორს სამეფოდ გაიყო. სვიმონს ახლა სპარსელების გარდა უნდა თავის ძმასა და მის მომხრე ქართველებთან ებრძოლა. ძნელი იყო ეს ბრძოლა, მაგრამ სვიმონი არ შედრკა და თავისებურის მხნეობით შეუდგა საქმეს. ერთის მხრით ესეოდა და არბევდა გამდგარს სომხით-საბარათიანოს, მეორე მხრით ცდილობდა ტფილისის აღებას. 1567 წ. [7]) სვიმონმა შეჰყარა ბლომად ქვეითი და ცხენოსანი ჯარი, გაემართა ტფილისის ასაღებად და გაჩერდა დიღომს. დაუთ-ხანმაც (ასე ეძახდენ დავითს მაჰმადიანობის მიღების შემდეგ) შეკრიბა ჯარი, გამოვიდა ტფილისით დ მივიდა დიღომს. დავითს ჰყავდა სპარ-

*) ნამდვილად არ ვიცით წელი არც დავითის სპარსეთს წასვლისა, არც ქართლს დაბრუნებისა. ქ. ც. და ისკ. მუნჯიც დავითის წასვლას ციხედიდის ომის შემდეგ მოიხსენიებენ: „იხილა რა ძმამან მეფის სვიმონისამან დავით სპარსთაგან ძლევა ესე, წავიდა სპარსეთად... და მივიდა წინაშე ყეენისა (ქ. ც. ტ. II, გვ. 26). „ამ ამბების შემდეგ დავით, ლუარსაბის ძე, განუდგა თავის ძმას, წავიდა შაჰის კარს, თავი დაუკრა შაჰს ყაზმინის ქალაქში და გამუსულმანდა (იხ. *Moundji* გვ. 454.

[7]) *Moundji* გვ. 454.

ყობილებაზედ დახარჯულ 10,260 მან. შესახებ დაადგინა, რომ ეგ ფული მერმისის წლის მოგებიდგან ერთიანად იქმნას გადახდილი.

---

## ქართული თეატრი ქუთაისში

(ვ. რ. ალექსი-მესხიშვილის ბენეფისი)

ორი კვირაა, რაც ტფილისის სათეატრო დასი გვესტუმრა ქუთაისში და მას შემდეგ ველოდდებოდით „ჰამლეტის“ როლში ბ-ნ ვ. ალექსი-მესხიშვილის ნახვას. ამასაც მოვესწარით.

პარასკევს, 8 მაისს, ქართულმა სათეატრო დასმა წარმოადგინა შექსპირის 5 მოქმ. ტრაგედია „ჰამლეტი“.

8 მაისი სწორედ სასიამოვნო დღე იყო ჩვენის საზოგადოებისათვის, რომელსაც ძლიერ სწყუროდა ამ პიესის ნახვა ქუთაისის სცენაზედ.

თუმცა ჩვენს საზოგადოებას უკვე ნახული აქვს პიესა „ჰამლეტი“ ქუთაისის სცენაზედ, მაგრამ ამ რთულს პიესას ისე კარგად არ ჩაუვლია მაშინ, როგორც ახლა ჩაიარა.

ქანდარაც და პარტერიც მთლად სავსე იყო ვ. ალ.-მესხიშვილის ნიჭის თანამგრძნობელ-პატივისმცემლებით, რომელნიც სტკბებოდნენ მობენეფისეს ხელოვანის და მშვენიერის თამაშობით.

ქ-ნმა მ. მ. საფაროვისამ საუცხოვოდ შეასრულა ოფელიას როლი.

ნამეტანის სიამოვნებით, ალტაცებით ეგებებოდა საზოგადოება მობენეფისეს, რომელსაც მიართვეს: ვერცხლის თასი და ლამბაქი—ქართველმა ახალგაზდობამ, ვერცხლის დანაჩანგალი და კოვზი — მეგობრებმა, ძვირფასი სამელნე შანდლებითურთ—ქუთაისის ერთ სავაჟო სასწავლებლის მოსწავლეებმა, დაფნის გვირგვინი ზედ წარწერით:

„ნიჭი ხალხთ საქადულია, ერის დიდება, შვენება:
იმათ აქვს ქება, სახელი, სამარადისო ხსენება!

„მისის ნიჭის თაყვანის მცემელთაგან“.

წარმოდგენის შემდეგ მობენეფისე ახალგაზდობამ, „ვაშა! ვაშა!“-ს ძახილით და ხელში აყვანით მიაცილა სასტუმრომდე.

მ. ბოლ—აძე

---

## პასუხად ბ-ნს ნ. წერეთელს

(ქუთაისის სამეურნეო განყოფილების მონდობილებით)

„ივერიის“ მე-91 №-ში იყო დაბეჭდილი წერილი ბ-ნ ნ. წერეთლისა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების მიმართ. ამ წერილის პასუხის დაწერა ქუთაისის სამეურნეო განყოფილებამ მე დამავალა და მეც დიდის სიამოვნებით ვასრულებ ჩემს დავალებას, მით უმეტეს, რომ ის „მოკლე დარიგება ვაზის ობისა და ნაცრის წამლობაზედ“, რომელიც ქუთ. სამეურნეო განყოფილებამ დააბეჭდვინა, არის ჩემი ნათარგმნი. მაგრამ, სანამ შევუდგებოდე თვით შინაარსის გამო პასუხის მოცემას, არ შემიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ ბ ნი წერეთელი ასეთის სინჯვისა და მუშტრის თვალით დაჰკვირვებია იმ მოკლე დარიგებას, რომელიც ქუთ. სამეურნეო განყოფილებამ დაჰბეჭდა, ერთის ჩვენის უმძვინვარესის მტრის, მილდიუს საწინააღმდეგოდ ბრძოლის გასაწევად. ერთი რომ ამ ნაირის თვალით საქმის დაკვირვება ხშირად გამოაჩენს ხოლმე უმჯობესს გზას ბრძოლისას და მეორეც ისა, რომ ჩვენ შემთხვევას გვაძლევს საჯაროდ განვმარტოთ ის ადგილები დარიგებისა, რომელიც, შესაძლოა, სიბნელით არის მოცული.

დავიწყოთ ჯერ წყალის რაოდენობის შესახებ, რადგამ ამითვე დაუწყვია ბ-ნ წერეთელს. დარიგებაში ნათქვამია, რომ წამალი შესდგება 12 ორ ბათმანიან ჩაფ წყალისა, 10 გირვანქა შაბიამანისა და 5 გირვანქა კირისაგან. ცოტა ქვემოდ, სადაც თვით წამლის დამზადებაზეა ლაპარაკი, მართლაც „თხუთმეტიოდე“ ჩაფია დასახელებული, მაგრამ ეს კორექტურული შეცდომაა, უნდა იყოს „თერთმეტიოდე“; ასე რომ კირისა და შაბიამანის გასახსნელად ნახმარებს წყალს როცა დავუმატებთ ამ თერთმეტ ჩაფ წყალს, უნდა შესრულდეს 12 ჩაფად. ამას თითქოს კიდევაც მიხვედრილა ბ-ნი წერეთელი, როცა ამბობს: „ამ ნათქვამში წამლის ნაწილების პროპორცია პირველად თქმულს ეთანხმება და სხვ.“, მაგრამ ცხადად არ ამბობს, ეს შეცდომა გასწორებულია თუ არა იმ ფურცლებში, რომელსაც თვით სამეურნეო განყოფილება არიგებს; შეიძლება ბ-ნ წერეთელს შეხვდა ერთ-ერთი ის ფურცელი, რომელიც, წინდაწინვე გადასცა სამეურნეო განყოფილებამ ბ-ნ კოკოჩაშვილს და რომლის გასწორებაც ვერ მოასწრეს.

მაგრამ ყველაზე მომეტებულად ბ-ნ წერეთელს თვით წამლის შედგენილობა აფრთხობს, მის შეზავების დროს ნახმარი შედარებითი ნაწილები. ამ შიშს ისე აუტანია ბ-ნი წერეთელი და საფუძვლიანიც არის, მართალი რომ ვსთქვათ, ეს შიში—იმ იჭვნეულობას მისცემია: ვაი თუ უვიცს კაცს შეადგენინა სამეურნეო განყოფილებამ ეს დარიგებაო.

ამ მხრით ჩვენ შეგვიძლიან სრულებით დავამშვიდოთ ბ-ნი წერეთელი. ეს დარიგება არის შედგენილი ასეთივე გამოცდილის და თავის საქმის მცოდნე ნასწავლის მეურნისაგან, როგორც არის თვით ბ-ნი ინანაშვილი. ეს დარიგება არის შედგენილი ბ-ნ ტიმოფეევისაგან, რომელიც საფილქსერო დასის ექსპერტია და მაშასადამე სახელმწიფო სამსახურში ითვლება. ორივე ეს ნასწავლი მეურნე ერთსა და იმავე წყაროდამ ჰკრებენ თავიანთ ცოდნას, ორივე მისდევენ ბ-ნ მილიარდეს რჩევას, რომელმაც მოიგონა ეს წამლობა. მაშ რად მოხდა, რომ ბ-ნი ინანაშვილი თითქმის ოთხჯერ მეტ კირს ხმარობს ერთსა და იმავე შაბიამანსა და წყალსაო?—იკითხავს ბ-ნი წერეთელი.

აი რად: დიდი ხანი არ არის, რაც ეს ღონისძიება მოიგონეს თვით საფრანგეთში მილდიუს წინააღმდეგ, და რასაკვირველია, ყოველ ახალ საქმეში კაცი ტაატით მიდის წინ და დაკვირვებითა და სინჯვით. თანდათან ავითარებს და აუკეთესოებს ერთხელ მოგონილს ღონისძიებას.

ბ-ნმა ინანაშვილმა დააბეჭდა თავისი დარიგება 1889 წ., როგორც ამბობს თვით ბ-ნი წერეთელი, მას აქედ დიდი ხანი გავიდა და იმ წამლის შეზავებაც შესცვალა ბ-ნმა მილიარდემ. დარწმუნებულნი ვართ, რომ ბ-ნი ინანაშვილი ეხლა იმავე რჩევას მოგვცემს, რომელსაც იძლევა ჩვენი დარიგება. ამ ჩვენის სიტყვის დასასაბუთებლად ავიღოთ „ღვინის ხელობის უწყების“ წლევანდელი ნომერი (Вѣстникъ винодѣлія) და ჩავიხედოთ წერილში: „მილდიუ და მისი წამლობა“. იქ სწერია ერთს ალაგას: „ბორდოსის სითხე, რომელიც მოიგონა პროფესორმა მილიარდემ, შეზავდება ამ ნაირად: ხის ჭურჭელში ჩაასხით 100 ლიტრი წყალი (814 ვედრა) და გახსენით შიგ 3 კილოგრამი (7,3 გირვანქა) წმინდა შაბიამანი; ცალკე ჭურჭელში ჩააგდეთ ერთი კილოგრამი (2,44 გირვანქა) ქვა კირი, ზედ დაასხით 5 ლიტრი (ლიტრი ჩარექიანი ბოთლია) წყალი კირის დასაშლელად და, როცა კირ-ნარევი წყალი სრულიად გაცივდება—ჩაასხით ნელ-ნელა გახსნილს შაბიამანში და თან ურიეთ კარგად“. აქ კიდევ ერთ და იმავე ზომის წყალზე უფრო ნაკლებია ნახმარი შაბიამანი, ეს კირი ხომ, არა თუ ნახევარი ზომისაა მიწყული, როგორც ჩვენს დარიგებაში, არამედ მესამედი წილია შაბიამანისა. გაისად შეიძლება ეს რეცეპტი გვირჩიონ ნასწავლმა მეურნეებმა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ბ-ნ ტიმოფეევის რეცეპტი უფრო ახლოა ამ რეცეპტზე, ვინემ ბ-ნ ინანაშვილისა.

შემდეგ იმავე წერილში არის ნათქვამი: „ბორდოსის სითხე ზევით მოყვანილის შედგენილობისა კარგად მოქმედობს და შედარებით იაფად ჯდება; წინად ამ წამალს სხვა ნაირად აზავებდნენ, სახელდობრ ამ ნაირად: რვა კილოგრამს შაბიამანზე ხმარობდნენ 15 კილოგ. კირს და 130 ლიტრ. წყალს. სწორედ ისე, როგორც ბ-ნი ინანაშვილი გვირჩევს. რომ გავიგოთ მიზეზი რეცეპტის ამ ნაირადვე ცვლისა, უნდა გავიხსენოთ ერთი გარემოება. მილდიუს, ანუ ვაზის ფოთოლის მჭამელ სოკოს, კირი კი არ ჰკლავს, არამედ შაბიამანი, მაგრამ პირდაპირ რომ მოვასხუროთ შაბიამანი ვაზის ფოთოლს, არ ივარგებს, იმიტომ რომ ცვარი და წვიმა ადვილად ჩამორეცხავს და არ დააცლის სოკოზე მოქმედებას. ამისათვის საჭიროა, შაბიამანს მივაღებინოთ იმ ნაირი სახე, რომ ადვილად მოედოს ფოთოლს და, რაც შეიძლება, მაგრად გაუჯდეს და ხანგრძლივად იმოქმედოს მან ფოთოლზე. ამისათვის საჭიროა კირი. კირი მიაღებინებს შაბიამანს ლექის სახეს, ხოლო ლექი ადვილად და მჭიდროდ მიეკვრის ფოთოლს. მაშასადამე კირი აქ მხოლოდ ხელის შემწყობია და არა თვით წამალი. არის იმისთანა წამლები მილდიუს წინააღმდეგ, რომელშიაც კირი სრულიად არ ურევია, ისეთი წამალი-კი სრულიად არ არსებობს, რომელშიაც შაბიამანი არ ერიოს.

კ. ბაქრაძე

4 მაისი 1892 წ.
ქუთაისი.

---

## უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** რეიხსრატში დაიწყეს კამათი ქ. ვენის საზოგადო შენობათა შესახებ. ქალაქსა ჰსურს განაკარგოს კალაპოტი მდ. დუნაისა, გაიყვანოს ორი არხი, გამართოს საქალაქო რკინის გზა, მაგრამ თავისის შეძლებით ვერ მოუხერხებია ეს საქმე, თუ მთავრობა, სახელმწიფო ხაზინა არ დაეხმარება. ამ საგნის შესახებ პროექტები კარგა ხანია შედგენილ-შემუშავებულია, მაგრამ მათი განხორციელება უფრო მას შემდეგ შეიქნა საჭირო, რაც ვენის მიდამოები ქალაქს მიეწერა და შეუერთდა. წარსულს ზამთარს რომ მუშები დიდს გაჭირვებაში იყვნენ, მაშინ ქალაქის წარმომადგენელნიცა და საზოგადოებაც ერთხმად ჰღაღადებდნენ, უნდა საზოგადო სამუშაოები დავიწყოთ და მუშებს საშოვარი გავუჩინოთო; ხოლო მთავრობას ეშინოდა, ქალაქ ვენას რომ შევეწიოთ ფულით, შემდეგ პრაგა და სხვა ქალაქებიც მოგვთხოვენ იმ გვარადვე დახმარებასაო, და ამის გამო ჯერ-ჯერობით საქმე ვერ დაწყებულა. როგორც რეიხსრატის კამათისაგან გამოირკვა, ამ ჟამად მთავრობას უკვე მოუშორებია ზემოხსენებული შიში. ვაჭრობის მინისტრმა მარკიზმა ვაკეგემმა განაცხადა, სამინისტრო ეთანხმება ქალაქის საპჭოს აზრს, რომ საზოგადო სამუშაოები უთუოდ უნდა დავიწყოთ, რადგან ქალაქი გაფართოვდა და მისავალ-მოსავალი გზები საკმარისი არ არისო. ვენის მცხოვრებთა 70% იძულებულიაო, სთქვა მინისტრმა: ფეხით გაიაროს ხოლმე დიდი მანძილი; მომეტებული ნაწილი ღარიბის ხალხისა შუა ქალაქის ძლიერ ვიწრო სადგომებში სდგას და ამასთანავე იძულებულია ფასი-კი დიდი იხადოს, ხოლო, თუ საქალაქო რკინის გზა გაიმართა, მაშინ შეგვეძლება რიგიანი და სათანადო სადგომები გავუმართოთ მუშებს ქალაქის განაპირა ადგილებში. მთავრობას არა ჰგონია, რომ ვენისათვის დახმარებას მხოლოდ ადგილობრივი ხასიათი ჰქონდეს, რადგან ქალაქ ვენის ინტერესები მთელის ქვეყნის ინტერესებთანაა დაკავშირებული. სხვა ქალაქსაც რომ დასჭირდეს მთავრობის მიერ დახმარება და მოითხოვოს კიდეც, მთავრობა არას დროს არ ჩასთვლის ამ გვარს თხოვნას უსამართ-

---

სების ჯარიც, რომელსაც სარდლობდა იბრაჰიმ-ხალიფა ყარამანლუ. დიღომში გაიმართა ბრძოლა სვიმონისა და დავითის ჯარებს შორის. სვიმონის ჯარი მომეტებული იყო დავითისაზე. დავითი დამარცხდა და გაიქცა თავის ჯარით, რომელმაც ორიათასამდე კაცი დაკარგა. მხოლოდ სპარსთა სარდალი იმრაჰიმ-ხალიფა არ გაჰყვა დავითს, თავის ჯარით თავხედად შეესია სვიმონის ჯარის შუაგულში და იწყო ბრძოლა თავგამომეტებით[8]). ქართველებმა მოჰკლეს იბრაჰიმ-ხალიფა და მისი ჯარიც სრულებით ამოხოცეს, თუმცა თითონაც ბევრი ნავნები მოუვიდათ თავგადადებულის იბრაჰიმისაგან.

დავითმა მომხდარი ამბავი ყაენს შეატყობინა და შემწეობა თხოვა. ყაენის ბძანებით დავითს მოეშველა ჰასან-ბეგ ყარამანლუ ახალის ჯარით. დავით და ჰასანბეგ თავიანთ ჯარებით გაემართნენ სვიმონის წინაამდეგ, რომელიც ისევ დიღომში იდგა. მოხდა ძლიერი ბრძოლა. დავითის ჯარში ორჯელ მეტი გაწყდა, ვიდრე სვიმონისაში. დავითი კიდევ იძულებული გახდა გაქცეულიყო ტფილისის ციხეში. მისი ჯარი სვიმონმა ზოგი გასწყვიტა და ზოგი შეიპყრა. მერე მიადგა ტფილისის ციხეს. ეგონა მოქალაქენი მე მომიდგებიანო, მაგრამ ისინი ყაენის შიშით არ მიემხრენ, ცოლ-შვილით ციხეში შევიდენ და იქიდგან შექნეს თოფებისა და ზარბაზნების სროლა. რამდენიმე კაცი კიდეც დაუხოცეს სვიმონს. აგრეთვე ტყუილი გამოდგა სვიმონის ცდა, რომ ბარათაშვილები მოემხრო.

ამ დამარცხების შემდეგ დავითმა გაუგზანა კაცი ყაენის ამირ-სპასალარს, უსეინ-ბეგს, აუწყა თავის შეწუხება და შემწეობა ითხოვა მისგან. მაშინ უსეინ-ბეგ წამოვიდა ჯარით და ღამე შევიდა ტფილისის ცეხეში, ისე რომ სვიმონმა ვერ გაიგო. როცა მისი მოსვლა შეიტყო, სვიმონმა ანება ტფილისს თავი და ავიდა სამადლოზე.

1568 წ. დავითი გამოვიდა ტფილისით და მივიდა სამადლოს. აქ შეებრძოლენ ერთმანერთს მოწინაამდეგე ძმები. დავითი დამარცხდა, ქართველებმა ბევრი სპარსები დახოცეს და შეიპყრეს. გაქცეულები ტფილისის ციხეში შეიხვეწნენ. სვიმონი მიადგა ციხეს და ცდილობდა აეღო, მაგრამ ვერ მოახერხა და გორს დაბრუნდა. დავითმა კიდევ აცნობა ყაენს და სთხოვა შემწეობა.

შაჰ-თამაზმა მისწერა შაჰვერდი-სულთანს, შაქის მმართებელს და ყველა ყარაბაღისა და შემახიის ბეგლარბეგებს, რომ გამოეყვანათ სასყიდლით ლეკეთის შამხლები, შეეკრიბათ ყველა ემირები და ეშველათ დაუთ-ხანისთვის სვიმონის წინაამდეგ. 1569 წ. განჯაში შეიკრიბა დიდძალი ჯარი. სვიმონ მეფემაც თავის მხრით შეკრიბა ჯარი და მოემზადა მტრის დასახვედრად. სპარსების ჯარი რომ ხუნანს მოვიდა, სვიმონ ჯარით დადგა ანწუფისს. სპარსელები გაჩერებულიყვნენ ხუნანში და რჩევაში შევიდნენ, თუ რა გზით წასულიყვნენ. ამ დროს მათთან გამოცხადდა კახაბერ ყორღანაშვილი, შეატყობინა სპარსებს მეფის გარემოება და დაჰპირდა გზის ჩვენებას. ამ მოღალატის წინამძღოლობით სპარსელები წამოვიდენ სვიმონისკენ და მოვიდენ ფარცხისს. სვიმონი თავის ჯარით მივიდა ფარცხისს და შეება სპარსელებს, თუმცა ესენი ათჯერ მეტი იყვნენ ქართველებზე. ქართველებმა ისეთის თავგანწირვით იწყეს ბრძოლა, რომ პირველსავე კვეთებაზე სპარსელებს უკან დაახევინეს. ომით გატაცებული სვიმონი გამოეკიდა სპარსებს და ჩაერია მტრების გუნდში. ამ გაცხარებულს დევნაში მეფე გაშორდა თავისს ჯარს. მაშინ ყორღანაშვილმა იცნო მეფე და შეატყობინა სპარსებს მისი ვინაობა. სპარსები შემოეხვიენ მეფეს. ერთმა შამხალ-სულთანის გულამმა, სახელად ჯემშიდმა, [9]) წაართვა სვიმონს ცხენი და სხვების დახმარებით დაატყვევა. ეს ამბავი ქართველებმა ვერ გაიგეს, იბრძოდენ გაცხარებულნი და დახოცეს მრავალი მტერი. ხოლო როცა შეიტყეს, დამაშვრალები და იარაღ-გამოლეულები უკუ იქცენ. დატყვევებული მეფე სვიმონ თბილისს წაიყვანეს, ხოლო იქიდგან დიდის პატივით ყაენთან გაისტუმრეს.

[8]) Ibidem

[9]) Ibidem.

ლოდ. „რაც შეეხება პრაგასა—დასძინა ბოლოს მინისტრმა—ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით დავეხმაროთ იმას გაჭირვებაში, მიუხედავად ბ-ნ მლადოჩეხების საქციელისა“-ო.

მცხოვანი მეთაური გერმანელ ლიბერალთა გერბსტი დიდი ხანია აღარა ყოფილა პარლამენტში, მაგრამ ამ კრებას-კი დაესწრო და დიდად მომხრეობდა ვენელების თხოვნას. გერბსტზე უფრო საბუთიანად ილაპარაკეს გესმანმა და თავადმა ლიხტენშტეინმა. არ უნდა დავივიწყოთო, სთქვა გესმანმა: რომ ყოველს საზოგადო სამუშაოს ორ-გვარი მნიშვნელობა აქვს: ჯერ ერთი, ახალი სასარგებლო საქმე კეთდება და მეორეც, სამუშაო და საშოვარი ეძლევა გაჭირვებულს მუშა ხალხსა. ამ ჟამად მუშა ხალხი ისე აღარა გვყავს გაჭირვებული, როგორც წარსულს ზამთარს, მაგრამ გაჭირვება-კი მაინც კიდევ არსებობს და უთუოდ უნდა მივაქციოთ ყურადღება ამ გაჭირვებას. ამას გარდა, როცა ქალაქი სამუშაოებს დაიწყებს, ისე არ უნდა მოიქცეს, როგორც კერძო სამუშაოს პატრონები იქცევიან. აქ ორატორმა მოიხსენია მაგალითი პარიჟის საქალაქო საბჭოსი, რომელმაც 1887 წელს საქალაქო სამუშაოზე დღიური 9 საათის მუშაობა დააწესა, და მაგალითი ლონდონის საგრაფოსი, სადაც ლიბერალები ეცადნენ, რომ სამუშაოებზედ მუშათა სარგებლობას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და დავიწყებულ არ იქმნასო. „მხოლოდ, ჩვენდა სამწუხაროდაო, განაგრძო ორატორმა: ჩვენი ლიბერალები ინგლისელს ლიბერალებს არა ჰგვანანო“. ორატორის აზრით, საჭიროა, რომ მუშათათვის უთუოდ უზრუნველ ყოფილი იყოს ყოველდღიური საშოვარი არა ნაკლები 1 გულდენისა და 30 კრეიცერისა. თავადი ლიხტენშტეინი დაეთანხმა გესმანის აზრს და თავისითაც დასძინა, საზოგადო სამუშაოებს რომ დავიწყებთ, იჯარადრები და შუამავლები თავიდგან უნდა მოვიშოროთ; მხოლოდ მაშინ შეიძლება, რომ მუშები და ხელოსნები სხვებს არ გაეყვლეფინონ და საზოგადო სამუშაო მარტო რამდენისამე კაცის გამამდიდრებელ წყაროდ არ გარდაიქცესო.

**ბელგია.** პირველ მაისის კრებაზედ ბელგიის პალატამ გარდასწყვიტა, რომ სახელმწიფომ დააჯილდოვოს ხოლმე სასამართლოს მიერ შეცდომით დასჯილნი და დაზარალებულნი. პალატას კომისიამ წინადადება წარუდგინა, გადათვალიერებულ იქმნას ხოლმე გარჩეულ-გადაწყვეტილი საქმე, თუ ისეთი ახალი რამ საბუთები იქნება წარმოდგენილი, რომელიც განსამართლებულს ან სრულიად ამართლებს და ან დანაშაულს უმცირებსო. იუსტიციის მინისტრი თხოულობდა ცოტაოდენს შეზღუდვას და წინადადებისას: ხელმეორედ გარჩევა საქმისა მხოლოდ მაშინ მოხდეს ხოლმე, თუ საბუთი გამართლებისა ან ბრალის შემცირებისა ან განსამართლების შემდეგ მომხდარს საქმეზეა დამყარებული და ან კიდევ ბრალდებულს თავისს დროზედ არ შეეძლო იმისი დამტკიცებაო. საქმის ხელმეორედ გარჩევა შეიძლება კიდევ მაშინ, თუ შემდეგში რომელიმე მოწმეთაგანი განსამართლებულ იქნება ტყუილის ჩვენების მიცემისათვის და ან სასამართლოს განაჩენი სხვა-და-სხვა ბრალდებულთა შესახებ იმოდენად წინაალმდეგი იქნება ერთი-ერთმანეთისა, რომ რომელისამე ბრალდებულის უბრალობა დამტკიცდება. მეორედ შეიძლება გაირჩეს ის საქმეებიც, რომლის გამოც უბრალოდ იქნება ვინმე დაჯარიმებული. თხოვნა საქმის ხელმეორედ გარჩევის თაობაზედ უნდა შეიწყნაროს საკასსაციო სასამართლომ, რომელიც ვალდებულია ყურადღება მიაქციოს მხოლოდ იმ მხარეს თხოვნისას, აქვს თუ არა სადაო საქმეს ერთ-ერთი ზემოხსენებული შესაწყნარებელი გარემოება. ეს თხოვნა მინისტრისა პალატამ თითქმის ერთხმად და შეუცვლელად შეიწყნარა. დასასრულ მინისტრმა სთქვა: „თუ ხელმეორედ გარჩევამ საქმისამ აღმოაჩინა უბრალობა განსამართლებულისა და დასჯილდაჯარიმებულისა, მაშინ სახელმწიფო ვალდებულია დააჯილდოვოს იგი. მე მგონია, უკეთესი იქნება, რომ ამ საქმის წარმოება თვით მთავრობას მიენდოს“-ო. პალატამ ეს წინადადებაც შეიწყნარა.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენს გაზეთში ხშირად შეგვხვდება ხოლმე, რომ ამა და ამ სოფელში გადამდები ავადმყოფობა მძვინვარებსო. ამ დღეებში წავიკითხეთ, რომ ქობულეთში ყვავილი გავრცელებულა, ხოლო ამცრელი არავინ არის სოფელშიო. მივიღეთ რა ეს მხედველობაში, მე და ჩემმა ამხანაგებმა (ჩვენ ყველანი აქაურ უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მეოთხე კურსზე ვართ და ყველას აცრის მოწმობა გვაქვს), განვიძრახეთ, ვიაროთ სოფლებში ამ ზაფხულს და, სადაც საჭირო აღმოჩნდება, ავუცრათ ყვავილი, რასაკვირველია, უსასყიდლოდ. სადაც საჭირო იქნება, შესაძლოა, სხვა სამკურნალო დახმარებაც გავუწიოთ ხალხს.

რომელი სოფელიც დაისაჭიროებს ჩვენს დახმარებას, იმედია, შეგვატყობინებს. ჩემი ადრესი 27 მაისიდამ: ქ. ქუთაისი—სტუდ. გ. ბადრიძე.

გ. ბადრიძე

ქ. მოსკოვი.
4 მაისს, 1892 წ.

## დეპეშა

10 მაისი

**პეტერბურგი.** დღეს ვლადიმირ-ვოლინსკსა და ჟიტომირში დაიწყება სამის დღის დღესასწაული ვოლინში ქრისტიანობის დამკვიდრებისა და წმ. კირილესი და მეთოდესი.

**მადრიდი.** ბრაზილიის სამხედრო გემი „Golimeos“-ი დაიღუპა ურაგვაის მახლობლად; 125 კაცი და მათ შორის კომანდირიც დაირჩო, გადარჩა მხოლოდ 5 კაცი.

**კოპენჰაგენი.** გემი „Полярная Звѣзда“ იმპერატორის გვარეულობის წევრებითურთ მოვიდა დილის 11 საათზე, ე. ი., ხუთის საათით ადრე, ვიდრე მოელოდნენ. მისაგებებლად წასულნი იყვნენ: პრინცი ვალდემარი და პრინცესსა მარიამი. მოვიდა თუ არა გემი, შეღლული დაიწყო. მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ მიეგებნენ: მეფე და დედოფალი დანიისა, ჰერცოგი კუმბერლანდისა მეუღლითურთ, წევრნი სადიპლომატო კორპუსისა, მინისტრები და კარის კაცნი.

**პარიჟი.** დარწმუნებით ამბობენ, პასტერმა წამალი აღმოაჩინა ეპილეფსიისაო—ცოფის შხამის აცრითაო. ერთს ათის წლის ყმაწვილზე სცადეს ეს ღონისძიება და კარგი გამოდგა. რომ საბოლოოდ დარწმუნდნენ ამ ღონისძიების ვარგისობაზე, საჭიროა კიდევ რამდენჯერმე სხვებზედაც სცადონ.

პეტერბურგის ბირჟა, 8 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,65 | 7,60 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $152^1/_4$ | $153^1/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $239^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $219^1/_4$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | 195 | $195^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | $98^4/_4$ |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | $99^1/_2$ | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | $98^1/_2$ |

## განცხადებანი

გასაფრთხილებლად.

ჩვენს პატივცემულს მყიდველებსა ვთხოვთ, რომ მოითხოვონ ხოლმე ჩვენ მიერ გამოგონილი საპონი

ოლეო-ვაზელინის

**როიალ-კონგო**

მხოლოდ ჩვენის წარწერით-კი ე. ბოდლოსი და ამხ. ამ საპონმა დიდი სახელი გაითქვა და არა აქვს-რა საერთო ღირსებითა და სუნით სხვა ამ სახელის მაგვარ სახელიან საპნებთან.

საპარფიუმერო ფაბრიკა

„ვიქტორია რეგინა“

**ე. ბოდლოსი და ამხ.**

მოსკოვს.

ისყიდება ყველგან! (10—5)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენცისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტ ტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—8)

ПРИДВОРНЫЕ ПОСТАВЩИКИ

**А. РАЛЛЕ и К°**

НОВОСТИ! ПРИДВОРНЫЕ ДУХИ ПРИДВОРНОЕ МЫЛО ПРИДВОРНАЯ ПУДРА

ЦВѢТОЧНОЕ ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО.

НОВОСТИ! ДУХИ БѢЛЫЙ ИРИСЪ ПЕРСИДСКАЯ СИРЕНЬ ЛАНДЫШЪ.

21 ВЫСШИХЪ НАГРАДЪ

21 ВЫСШИХЪ НАГРАДЪ

ЯИЧНОЕ МЫЛО, ИЗОБРѢТЕННОЕ НАМИ ВЪ 1846 г.



МЫЛО КАЗАНЛЫКСКАЯ РОЗА.

ЗОЛОТАЯ МЕДАЛЬ ПАРИЖЪ 1889 г.

ЗОЛОТАЯ МЕДАЛЬ ПАРИЖЪ 1889 г.

О-ДЕ-КОЛОНЪ ДИСТИЛЛИРОВАННЫЙ НА ЦВѢТАХЪ ВСЕВОЗМОЖН. ЗАПАХОВЪ.

СПЕЦІАЛЬНО ИЗГОТОВЛЕННОЕ ДѢТСКОЕ МЫЛО СЪ ГЛИЦЕРИНОМЪ

БАРХАТНАЯ ПУДРА ХОРОШО ПРИСТАЮЩАЯ НЕЗАМѢТНАЯ НА ЛИЦѢ.

**А. РАЛЛЕ и К°**

ПРОИЗВЕДЕНІЯ НАШИ ПРОДАЮТСЯ ВО ВСѢХЪ ПАРФЮМЕРНЫХЪ и АПТЕКАРСКИХЪ МАГАЗИНАХЪ РОССІЙСК. ИМПЕРІИ.

(12—7)

**მაღაზია სარპინკებისა**

(ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, სახლი ალაბაზოვისა).

ხელ-მოსაცემი და სარფა საზაფხულო ქსოვილი, ხელით-ნაკერები ქალებისა და ყმაწვილების ტანისამოსისათვის და აგრეთვე მამაკაცთა პერანგებისათვის

დიდ-ძალი განიერი სარპინკები ზოლებიან-არშიანები. სარპინკის წინდად საქსოვი ძაფი, სხვა-და-სხვა უხუნარის ფერისა, ჭრელ წინდებისა და ჩულქების საქსოვად.

სარპინკის ტანისამოსი ქალისა ყუთებიანად 3 მან. და 60 კაპეიკიდამ დაწყებული.

სარპინკის იუბკები 1 მან. და 80 კაპ. დაწყებული და უფრო ძვირებიც.

სარპინკის ცხვირსახოცები და თავზე-მოსახვევები.

ფაბრიკის პატრონები **სავაჭრო სახლი:**

**ბენდერ და სცეფანოვი**

(35—56—15)

**ახალი სტამბა**

მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,

იქ, სადაც „**ივერიის**“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე **სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**

Дозв. ценз. Тифлисъ, 12-го Мая 1892 г

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.